პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 9 თებერვალი, 1951 წ. № 33 (8887). ფასი 20 კაპ.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან არჩევნებისათვის თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის მშრომელები. ამ ოლქში კენჭს იყრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატი დიდი სტალინი.

გუშინ, 8 თებერვალს, რუსთაველის სახელობის თეატრში შეიკრიბნენ ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რათა გამოეხატათ თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ბოლშევიკების პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ხალხთა ბრძენი ბელადის — დიდი სტალინისადმი. კრების მონაწილენი სიამაყის გრძნობით, სიხარულით აცხადებდნენ, რომ ისინი 18 თებერვალს მთელი ქართველი ხალხის სახელით ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს.





ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1951 წლის 8 თებერვალს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# დიად სამუშაოთა პროგრამა წარმატებით ხორციელდება

ხუთი წლის წინათ, 1946 წლის 9 თებერვალს, ამხანაგი სტალინი გამოვიდა სიტყვით მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე. ამ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა შეაჯამა დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შედეგები და დაგვისახა კომუნიზმისათვის ბრძოლის გენიალური პროგრამა.

სამამულო ომი ჩვენი ხალხის ძალების გამოცდისა და შემოწმების დიდი სკოლა იყო. ომმა გამოაშკარავა ყველა ფაქტი და მოვლენა ზურგში და ფრონტზე, ულმობლად ჩამოგლიჯა ნიღაბი სახელმწიფოების, მთავრობების, პარტიების ნამდვილ სახეს და გამოიყვანა ისინი სცენაზე შეულამაზებლად, მათი ნაკლოვანებებითა და ღირსებებით.

საზღვარგარეთის პრესის, კაპიტალისტური ქვეყნების არაერთ ძოღვაწეს გამოუთქვამს აზრი, თითქოს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ომის მკაცრ გამოცდას, რომ იგი დაიშლებოდა პირველი სერიოზული დარტყმისთანავე. მაგრამ დიდმა სამამულო ომმა გააცამტვერა საბჭოთა ქვეყნის მტრების იმედები. მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ, ჩვენი სამშობლოს ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ და თანამშრომლობამ, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალმა გრძნობამ, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ განსაკუთრებული ძალით იჩინეს თავი დიდი სამამულო ომის პერიოდში. სამშობლოს დასაცავად დიდი რუსი ხალხის მეთაურობით და მასთან ერთად იბრძოდნენ უკრაინელები და ბელორუსები, ყაზახები და ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები, მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხები.

მარტო მამაცობა როდი იყო საკმარისი, რომ საბჭოთა ხალხსა და მის არმიას დაემარცხებინათ უძლიერესი მტერი, რომელსაც პირველხარისხოვანი შეიარაღება ჰქონდა, ჰყავდა კარგად გაწვრთნილი ოფიცერთა კადრები და საკმაოდ კარგად დაყენებული მომარაგება. ასეთი მტრის დამარცხებისათვის ჩვენი ჯარების უმაგალითო მამაცობის გარდა საჭირო იყო უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობა და უკეთესად დაყენებული მომარაგება, ვიდრე მტრის არმიებს ჰქონდათ. ჩვენმა სამშობლომ სტალინური ხუთწლედების მანძილზე შეძლო ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა. 13 წლის განმავლობაში — 1928 წლიდან 1941 წლამდე ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. „ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ...ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა".

შეაჯამა რა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების შედეგები, ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში დასახა გრანდიოზული პერსპექტივა, მოხაზა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი წინსვლის, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის ამაღლების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარების დიადი გეგმა. მაშინ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით მუშაობა მხოლოდ იწყებოდა. „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა ის არის, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა, — რომ აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით".

როგორია ამ გეგმის შესრულების შედეგები?

დიდი ბელადის მიერ დასახული ამოცანა საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა. როგორც ცნობილია, ხუთწლიანი გეგმით საბჭოთა კავშირის მრეწველობას 1950 წლისათვის 1940 წელთან შედარებით 48 პროცენტით უნდა გაეზარდა თავისი პროდუქცია, ნამდვილად კი 1950 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობამ 72 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს, ხოლო 23 პროცენტით 1949 წლის დონეს. სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ მძიმე მრეწველობამ. მნიშვნელოვნად გადიდდა მეტალურგიულ ნაწარმის — თუჯის, ფოლადის, ნაგლინის გამოშვება. გაიზარდა ქვანახშირისა და ნავთის მოპოვება, ელექტროენერგიის გამოშვება, საბარგო და მსუბუქი ავტომობილების, ექსკავატორების, ორთქლის ტურბინების, დაზგების, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის წარმოება. სულ უფრო მზარდი ტემპით ვითარდება სამშენი მასალების, მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოება.

დიდი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგში. ახალმა ტექნიკამ, გაუმჯობესებულმა იარაღ-მანქანებმა, რომლებითაც სოფლის მეურნეობას უხვად ამარაგებს ჩვენი მრეწველობა, სოციალისტურ სოფლის მეურნეობას საშუალება მისცა წარმატებით გადაეჭრა მარცვლეულის პრობლემა. 1950 წელს ჩვენმა სოფლის მეურნეობამ 7 მილიარდ 600 მილიონი ფუთი მარცვლეული მოგვცა, რაც 300 მილიონი ფუთით მეტია 1940 წლის მოსავალზე. მარტო ერთი წლის განმავლობაში 1950 წელს ყველა კულტურის ნათესი ფართობი გაიზარდა 6,6 მილიონი ჰექტარით. სოფლის მეურნეობის უმთავრესი დარგის — მარცვლეული მეურნეობის წარმატებამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა მეცხოველეობის წინსვლას. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის პირველი ორი წლის დავალებანი.

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების ერთ-ერთ მთავარ შედეგს წარმოადგენს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მძლავრი აღმავლობა. ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით სსრ კავშირის ნაციონალურ შემოსავალს 1940 წლის დონისათვის უნდა გადაეჭარბებინა 38 პროცენტით, ფაქტიურად კი 1950 წელს ამ დონეს 60 და მეტი პროცენტით, ხოლო 1949 წლის დონეს 21 პროცენტით გადააჭარბა. ეს ფაქტი მოწმობს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომის უდიდეს ძლიერებას. ნაციონალური შემოსავლის ზრდამ ჩვენს სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობა და უზრუნველეყო წარმოების შემდგომი გაფართოება. ქალაქად და სოფლად მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი. მარტო 1950 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების ყველა საქონლის ფასების დაკლებით მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი 15 პროცენტით გადიდდა, ხოლო გლეხთა ხარჯები, გაიაფებული სამრეწველო საქონლის მიწოდების გამო, შემცირდა 16 პროცენტით.

თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი შეეხო ჩვენი პარტიის „უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს". „პარტიას განზრახული აქვს, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა, — მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი ძლიერი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან".

ლენინ-სტალინის იდეებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ყველაზე ძლიერ და საშიშ მტერზე — ფაშიზმზე, ყველა ქვეყანაზე ადრე აღადგინა და ყველაზე წინ წასწია თავისი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი.

დიდი სტალინის ისტორიული სიტყვის წარმოთქმის ხუთი წლისთავი ემთხვევა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური აღმავლობით აღნიშნავს მზადებას არჩევნებისათვის, ახალ-ახალი გამარჯვებით გამოხატავს თავის ერთგულებასა და სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისადმი, კომუნიზმის ბრძენი ხუროთმოძღვრის დიდი სტალინისადმი. ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია იყო თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც გუშინ ჩატარდა. ამომრჩეველთა სიტყვებში გამოხატული იყო მადლობა ბრძენი ბელადისადმი და მზადყოფნა იმისათვის, რომ ისინი ერთსულოვნად მისცემენ რა ხმას კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს — ხმას მისცემენ ჩვენი სამშობლოს შემდგომ წინსვლასა და აყვავებას, სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

მოსკოვი, კრემლი

# ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საოლქო წინასაარჩევნო კრება გულითად ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, დეპუტატობის თავის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს.

ჩვენ დღეს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, შევიკრიბეთ იმისათვის, რომ გამოვთქვათ უსაზღვრო სიყვარული თქვენდამი და ღრმა პატრიოტული გრძნობები, რომლებითაც, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად, ვეგებებით არჩევნებს.

თქვენმა თანხმობამ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროთ ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში — უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენს ოლქში, საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეში.

აქ, სადაც ამჟამად ლენინის საარჩევნო ოლქია, თქვენ ასწავლიდით მუშებს გამარჯვების სტალინურ მეცნიერებას, დარაზმეთ ისინი კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ საბრძოლველად, უჩვენეთ გამარჯვების გზა.

თქვენ, ლენინთან ერთად აღმართეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა. თქვენ დაამძლევინეთ ჩვენს ქვეყანას ყველა სიძნელე, მიიყვანეთ იგი სოციალიზმის გამარჯვებამდე და მტკიცედ მიგყავთ კომუნისტური მშენებლობის გზით.

ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო! ხუთი წლის წინათ წინასაარჩევნო სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე თქვენ დასახეთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამა. ხალხისათვის თქვენი განუწყვეტელი ზრუნვით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ახორციელებენ თქვენს გენიალურ მითითებებს. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი ვადამდე შესრულდა. საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებზე ჩაღდება კომუნიზმის დიადი მშენებლობანი.

თქვენი მამობრივი მზრუნველობის მეოხებით, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, დიდი წარმატებები მოიპოვა ომისშემდგომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. შემოქმედებითი შრომის უდიდესი წარმატებებით ეგებება იგი არჩევნებს და საბჭოთა საქართველოს 30-ე წლისთავს.

სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ სულ უფრო მეტად იფურჩქნება საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ჩვენი რესპუბლიკა. უფრო და უფრო კეთილმოწყობილი ხდება და მშვენდება ჩვენი მშობლიური თბილისი, ქალაქი, რომელიც დიდებით შემოსა თქვენმა რევოლუციურმა მოღვაწეობამ, თქვენმა გმირულმა ბრძოლამ მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ქართველი ხალხის, ყველა საბჭოთა ხალხის მთელი წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია თქვენს, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, სახელთან, რომელიც ყველაზე მახლობელი და ძვირფასია ყოველი მშრომელისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ დიად სამუშაოთა სტალინური გეგმის შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლას. ყოველ ღონისძიებას ვიხმართ იმისათვის, რომ ღირსი ვიყოთ დიდი ნდობისა, რომელიც თქვენ გამოუცხადეთ ჩვენი ოლქის ამომრჩევლებს და მთელ ქართველ ხალხს.

18 თებერვლის ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენ არჩევნებზე წავალთ იმით ამაყნი და ბედნიერნი, რომ ხმას მოგცემთ თქვენ, ჩვენს პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს.

ერთსულოვნად ჩავუშვებთ რა ბიულეტენებს საარჩევნო ყუთებში, ამით ხმას მივცემთ საქართველოს ახალ აყვავებას, ხალხთა სტალინურ მეგობრობას, ბოლშევიკების პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, პარტიისა, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი რესპუბლიკის ამომრჩევლნი ხმას მისცემენ ლენინ-სტალინის დიად პარტიას, ხმას მოგცემენ თქვენ, მშობლიურო ამხანაგო სტალინ!

გისურვებთ, ჩვენო ბელადო და მასწავლებელო, მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს დიდ, მძლავრ საბჭოთა კავშირს — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯს!

დიდება დეპუტატობის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, კაცობრიობის გენიოსს, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს — მშობლიურ სტალინს!

# ხალხთა ბელადი დიდი სტალინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველი კანდიდატია

## ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე

მთელ ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელები სიხარულით ემზადებიან საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღის — 18 თებერვლის შესახვედრად. არჩევნების დღეს განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და სიამაყით მოელიან ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რომელთაც წილად ხვდათ დიდი ბედნიერება — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ხმა მისცენ ყველაზე ძვირფას და მახლობელ ადამიანს — მშობლიურ სტალინს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გუშინ, საღამოს 7 საათისათვის წინასაარჩევნო კრებაზე დასასწრებლად მოვიდნენ ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები. აქ არიან საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერები, ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, დიასახლისები. აქ არიან ჭაღარით მოსილი ადამიანებიც, ისინი, ვინც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით იბრძოდა თვითმპყრობელობის დასამხობად, და ჭაბუკები და ქალიშვილებიც, რომლებიც წელს პირველად ჩაუშვებენ ყუთში საარჩევნო ბიულეტენს. ყოველი მათგანის გული აღსავსეა დიდი სტალინისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით ჩვენი თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

იხსნება ფარდა. სცენის თაღზე წარწერაა: „დიდება დიდ სტალინს!" სცენის სიღრმეში მოჩანს ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატის ამხანაგ სტალინის დიდი პორტრეტი.

პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, მ. ბარამია, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, ზ. კეცხოველი, ს. იშხანოვი, გ. ზამბახიძე, პ. ეფიმოვი, მ. ლელაშვილი, ი. ზოდელავა, ე. ჩერქეზია, თ. ქვლივიძე, კ. ჭიჭინაძე, გ. ჯიბლაძე, გ. კარანაძე, მ. მაღრაძე, დ. ჭიჭინაძე, დ. მამაცაშვილი, ა. გაბუნია, გ. კიკნაძე, სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, სტახანოველები კ. ილურიძე, ი. ჭუმბურიძე, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები.

ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება გახსნა ქ. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. მამაცაშვილმა.

— ამხანაგმა სტალინმა, — ამბობს თავის შესავალ სიტყვაში ამხ. მამაცა-

(დასასრული მეორე გვერდზე)

# ხალხთა ბელადი დიდი სტალინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველი კანდიდატია

## ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე

(დასასრული)

შვილი, — დიდი ნდობა გამოგვიცხადა, როცა დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის საარჩევნო ოლქში. ჩვენი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები 18 თებერვალს უკლებლივ მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცემენ თავიანთ ხმას იმას, ვისაც მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ხალხი ლენინის გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, — დიდ სტალინს!

მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

— დიდება დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების დიდ შემოქმედს! — გაისმის დარბაზში შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად.

თავმჯდომარე პირველ სიტყვას აძლევს ნდობით აღჭურვილ პირს, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქვაბე საამქროს უფროსს ამხ. ი. გრძელიშვილს.

### ამხ. ი. გრძელიშვილის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! მოახლოვდა საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე — 18 თებერვალი. ამ დღეს საქართველოს მშრომელები ხმას მისცემენ რჩეულთა შორის რჩეულებს, საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს უსაზღვრო ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენი სამშობლოს პატრიოტები — მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ არჩევნების დღისათვის.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია თავისი მთავრობის, ბოლშევიკური პარტიისა და ბრძენი ბელადის დიდი სტალინისა, რომლის გენიალური წინამძღოლობითაც მივდივართ წინ, კომუნიზმისაკენ.

ჩვენ, ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, განსაკუთრებულ სიხარულსა და სიამაყეს ვგრძნობთ იმით, რომ დიდი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში. ჩვენს ოლქში კენჭს იყრის ის ადამიანი, ვინც უკვდავ ლენინთან ერთად შექმნა ბოლშევიკების სახელოვანი პარტია, ვინცააყვავა ძლევამოსილი საბჭოთა სამშობლო, ვისაც მშრომელი ხალხი მიჰყავს კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ. (მქუხარე ტაში).

დღეს მთელი ქართველი ხალხის ფიქრი, გრძნობა და გულისყური მიპყრობილია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქისაკენ, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ დიდმა სტალინმა დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა, დარაზმა მშრომელები თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო იზრდება ჩვენი ოლქის ამომრჩეველთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. ბელადის თანხმობით აღფრთოვანებულმა ჩვენი ქარხნის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა პირობა დადო არჩევნების დღეს შეხვდეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით. ეს სიტყვა ჩვენმა კოლექტივმა საქმედ აქცია. ქარხანამ იანვრის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

ჩვენი ქარხნის მუშების, ინჟინერტექნიკოსებისა და მოსამსახურეების სახელით პირობას ვდებ, რომ მუდამ ვიქნებით ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგულნი, განუხრელად დავიცავთ იმ რევოლუციურ ტრადიციებს, რომლებიც დანერგა დიდმა სტალინმა. ყველაფერს გავაკეთებთ საყვარელი დედა-სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის.

18 თებერვალს ყველანი არჩევნებზე!

ხმა მივცეთ ჩვენი გამარჯვების დროშას, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს საყვარელ სტალინს!

ლენინის დროშით, სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმისაკენ!

დიდება დიდ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გამარჯვება და დიდხანს სიცოცხლე ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს!“**).

* * *

სიტყვა ეძლევა ექიმ ამხ. მარიამ გვანცელაძეს.

### ამხ. მ. გვანცელაძის სიტყვა

ამხანაგებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ღირსშესანიშნავ დღეებში მიმდინარეობს. საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმა და ამჟამად განაგრძობს დაუღალავ შრომას სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენ, ლენინის საარჩევნო ოლქის მშრომელები, განსაკუთრებულ სიამაყესა და სიხარულს განვიცდით იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად მთელი ქართველი ხალხის სახელით ავირჩიოთ დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. (ტაში).

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენ ამხანაგ სტალინის თანამედროვენი ვართ. სტალინის გენიას ჩვენი ხალხი მიჰყავს კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვებისაკენ. ჩვენ, მედიცინის მუშაკები, აღტაცებული ვართ საბჭოთა სამშობლოს უდიდესი გამარჯვებებით. ჩვენს შრომასა და მოღვაწეობას ფრთებს ასხამს ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

1951 წლის 18 თებერვალს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, თავიანთ საუკეთესო შვილებს მიანდობენ სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობას. მშრომელთა ყველაზე დიდი სურვილია კვლავ იხილონ დიდი სტალინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად (ტაში).

ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები სიხარულისა და სიამაყის გრძნობით მივცემთ ხმას ჩვენს მამასა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადს დიდ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

* * *

ტრიბუნაზე ადის სორთქლმავლო დეპოს მოწინავე მემანქანე ამხ. ივანე ალექსეენკო.

### ამხ. ი. ალექსეენკოს სიტყვა

ამხანაგებო!

თბილისის სორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა უღრმესი კმაყოფილებით შეიტყო, რომ ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი, საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამხანაგი სტალინი დათანხმდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ლენინის საარჩევნო ოლქში.

დიდია პატივი, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაგვდო! ჩვენ უდიდესი სიამაყით, ერთსულოვნად მივცემთ ხმას საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

ჩვენ ხმას მივცემთ ამხანაგ სტალინს, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ ბლოკს, იმიტომ რომ გვინდა ჩვენი სამშობლო ვიხილოთ უფრო აყვავებული, უფრო მძლავრი.

ყველაფერი, რაც საუკეთესო და ძვირფასია ჩვენს ცხოვრებაში, დაკავშირებულია დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელთან. ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა გამარჯვებას ჩვენ ვუმადლით მშობლიურ ამხანაგ სტალინს. ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ვაგებთ ჩვენ კომუნიზმის შენობას.

სტალინი ყველა ჩვენი გამარჯვების დროშაა. პროგრესისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის დროშაა! (ტაში).

იმის პასუხად, რომ ამხანაგმა სტალინმა თანხმობა განაცხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში, ჩვენი დეპოს მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

გაუმარჯოს დეპუტატობის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს — დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

* * *

სიტყვას იღებს დიასახლისი თამარ დევაძე.

### ამხ. თ. დევაძის სიტყვა

ამხანაგებო! ამ დაუვიწყარ დღეებში ყველაზე დიდ სიხარულს განვიცდით ჩვენ, ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები. ჩვენ ხმას მივცემთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ სტალინს. (ტაში).

ჩვენ, დიასახლისებმა, კარგად ვიცით, რა ძვირფასი და მახლობელია ამხანაგ სტალინის სახელი ყველა მშრომელისათვის, კარგად ვიცით, რომ დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ საბჭოთა ქალებმა ბედნიერი და საამური ცხოვრება, რომ საბჭოთა საქართველოს უმაგალითო აღორძინება, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ძლიერება და აყვავება, დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

ამიტომ ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები უდიდესი აღტაცებით შევეგებეთ ამხანაგ სტალინის თანხმობას, მის დიდ ნდობას.

დიასახლისი ამომრჩევლები ბელადის დიდ ნდობას იმით ვუპასუხებთ, რომ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში, სოციალისტურ სამშობლოს აღვუზრდით ღირსეულ შვილებს, კომუნიზმის სახელოვან მშენებლებს.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ საბჭოთა სამშობლოს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯს.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ლავრენტი ბერიას!

დიდება და დღეგრძელობა ჩვენს საყვარელ, მშობლიურ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

* * *

სიტყვას ამბობს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი მექვაბე ამხ. იოსებ მაჩაიძე.

### ამხ. ი. მაჩაიძის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენ გვახარებს, რომ დიდი სტალინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის ლენინის საარჩევნო ოლქში.

საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება დაკავშირებულია მშობლიური სტალინის სახელთან. ამიტომ უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ვიცით, რომ მუშებისათვის, მთელი ხალხისათვის არავის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ამხანაგმა სტალინმა გააკეთა. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს ამხანაგი სტალინი იმისათვის, რომ იგი მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის ძალას ახმარს ხალხის სამსახურს.

სიტყვას ვიძლევი თავდადებული შრომით უფრო მეტი წვლილი შევიტანო ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში.

18 თებერვალს დარაზმულად გავეშურებით საარჩევნო უბნებისაკენ და ერთსულოვნად მივცემთ ხმას ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

დიდება დიდ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

* * *

სიტყვა ეძლევა ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის მასწავლებელს ოთარ დალანიძეს.

### ამხ. ო. დალანიძის სიტყვა

ამხანაგო ამომრჩევლებო! უსაზღვროდ გახარებულია ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველი, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ხმა მისცენ ხალხთა გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ამხანაგ სტალინის სახელი ძვირფასია თვითეული საბჭოთა პედაგოგისათვის, თვითეული მშრომელისათვის. იგი ხალხთა საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის სიმბოლოა. სტალინის სახელი საბჭოთა პატრიოტიზმის დაუშრეტელი წყაროა, რასაც ყოველი საბჭოთა პედაგოგი შთააგონებს თავის აღსაზრდელებს.

დიდხანს ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს მშვიდობის დიდი მედროშე, კომუნიზმის ბრძენი მესაჭე, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დიდი სტალინი! (**მქუხარე ტაში**).

* * *

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ახალგაზრდა ამომრჩეველს, ქალთა მე-19 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს მაყვალა ბაქრაძეს.

### ამხ. მ. ბაქრაძის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობაც უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით ეგებება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. მე პირადად უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად — 18 თებერვალს ხმას მივცემ კაცობრიობის უდიდეს ადამიანს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს. არჩევნების დღეს მინდა, რომ პირველმა მივცე ხმა მშობლიურ სტალინს!

„მე აქ ვიქნები და თბილისიდან
მოგაწვდი ჩემს ხმას ბელადს პირველად,
ვინც გამარჯვების სამშობლოს ქმნიდა
მთელი მსოფლიოს გასაკვირველად“.

სად, რომელი ქვეყნის ახალგაზრდობა მოსწრებია ისეთ ბედნიერ ცხოვრებას, როგორიც დიდმა სტალინმა შეგვიქმნა ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის ბედნიერ ახალგაზრდობას. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ დიდი ბელადის მამობრივ მზრუნველობას.

სტალინი — ეს მთელი ჩვენი შესანიშნავი ცხოვრებაა! სამშობლო და სტალინი, ბედნიერება და სტალინი, სინათლე და სტალინი, გამარჯვება და სტალინი — განუყოფელია.

სტალინი — ეს საბრძოლო დროშაა და გზის მანათობელი შუქურაა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის. სტალინი მახლობელი და ძვირფასია მსოფლიოს ყველა მშრომელთათვის.

ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის არ არსებობს იმაზე ძვირფასი, იმაზე საყვარელი სახელი, ვიდრე მშობლიური სტალინის სახელია. აი რატომ არის ასე უსაზღვრო ის სიხარული, რომლითაც აღსავსეა თბილისისა და მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გული იმ ცნობის გამო, რომ დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თანხმობა განაცხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში.

„ორი სიტყვა ჩამოფრინდა დედაქალაქ
მოსკოვიდან—
„თანახმა ვარ!“ — აი, ძმებო, რა მივიღეთ!
რა მოვიდა!
ის დათანხმდა, ის აქ არის, მას ჩვენ შორის
ვხედავთ ცხადად,
მეგობრებო, მეგობრებო, მან თანხმობა
განაცხადა!“

ხმას მივცემთ რა ამხანაგ სტალინს, ამით ხმას მივცემთ ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოს და ბრწყინვალე მომავალს, კომუნიზმის გამარჯვებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

დიდება დეპუტატობის საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, ჩვენს ძვირფას მამასა და მასწავლებელს, მშობლიურ დიდ სტალინს!

„ო, მზეო სტალინ, იდღეგრძელე შენ მზისა
მსგავსად,
კრემლში მოგართვით სიმღერები, გულნი,
იანი,
არ იმყოფება ქვეყანაზე სრულიად არსად
შენზე საჭირო ხალხისათვის ადამიანი“.
(მქუხარე ტაში).

* * *

სიტყვა ეძლევა პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილს

### ამხ. ი. გრიშაშვილის სიტყვა

ამხანაგებო!

უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში მიმდინარეობს არჩევნებისათვის მზადება. მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხალხმა დაასახელა რჩეულთა შორის რჩეულნი, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად დაასახელა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი, კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, საყვარელი ბელადი და მასწავლებელი, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. (ტაში).

არ არსებობს იმაზე ძვირფასი, ღრმად საყვარელი სახელი, ვიდრე ამხანაგ სტალინის სახელია. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა ბოლშევიკების პარტია, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს ამხანაგი სტალინი, რომელიც წინ მიუძღვის მშვიდობისა და სოციალიზმის ძალებს მთელ მსოფლიოში.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ცდილობენ ძირმომპალი კაპიტალიზმის გადარჩენას და ამიტომ უნდათ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ეს შეუძლებელია, მათ ავიწყდებათ, რომ

ჩვენ მშვიდობა გვინდა,
ვცხოვრობთ ჩვენი შრომით.
ეს ვინ იმუქრება
ბრაზითა და წყრომით?
შური ამოძრავებთ
საბჭოების მიმართ,
შიში ამოძრავებთ,
რომ ვეჯობიეართ იმათ.
ვერ დაიკლა მტერი,
ვეღარ დაშოშმინდა...
ის ომისკენ გვიწვევს,
ჩვენ მშვიდობა გვინდა!

ჩვენი მტრები ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერ შეატრიალებენ. მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ ომისა და რეაქციის ძალებზე. ამის საწინდარია ის, რომ მშვიდობის ბანაკს სათავეში უდგას დიდი სტალინი.

ამხანაგებო, ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებო! თქვენ წილად გხვდათ განსაკუთრებული ბედნიერება: 18 თებერვალს თქვენ მიიღებთ ბიულეტენს, რომელზეც აღბეჭდილი იქნება ყველასათვის მახლობელი და ძვირფასი სახელი, ამხანაგ სტალინის სახელი.

დიდი სტალინისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას მივცემთ მშვიდობას, კომუნიზმს!

დიდება და დღეგრძელობა დიდ სტალინს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს! (**მქუხარე ტაში**).

* * *

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. მაღრაძემ.

### ამხ. მ. მაღრაძის სიტყვა

ამხანაგო ამომრჩევლებო! ლენინის რაიონის მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად დიდი სიხარულით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ჩვენი რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების აღსანიშნავად. ამის შედეგად მიმდინარე წლის იანვრის გეგმა შეასრულეს არა მარტო ჩვენმა მოწინავე საწარმოებმა, არამედ იმ საწარმოებმაც, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ. რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო იზრდება შრომითი აღმავლობა.

საქართველოს ყველა მშრომელის თვალი მიპყრობილია ლენინის № 6 საარჩევნო ოლქისაკენ, სადაც ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის სახელი სოციალისტური სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერების, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლოა.

ის დიდი ნდობა, რაც ამხანაგმა სტალინმა ლენინის რაიონის მშრომელებს გამოუცხადა, გვავალებს უკეთესად ვიმუშაოთ, ყოველთვის ვიყოთ მოწინავეთა რიგებში.

ამხანაგო ამომრჩევლებო! მოგიწოდებთ არჩევნების სასიხარულო დღეს ყველანი უკლებლივ გამოცხადდეთ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცეთ ხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ხმას მივცემთ რა ამხანაგ სტალინს, ამით ხმას მივცემთ ჩვენი ხალხის ბედნიერებას, ჩვენს სასიხარულო ცხოვრებას, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობას, კომუნიზმის გამარჯვებას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს — მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

* * *

ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება ერთხმად იღებს რეზოლუციას.

უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშით კრებამ მიიღო დიდი სტალინისადმი მისალმების ტექსტი.

## რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებისა

**ჩვენ, ქალაქ თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრების მონაწილენი, უსაზღვროდ ბედნიერი ვართ, რომ თანამედროვეობის უდიდესმა ადამიანმა ამხანაგმა სტალინმა დიდი პატივი დაგვდო და ნდობა გამოგვიცხადა, დათანხმდა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.**

**ხალხთა დიდი ბელადის ეს მაღალი ნდობა აღგვაფრთოვანებს ჩვენ, ისევე როგორც მთელ ქართველ ხალხს, შრომასა და ბრძოლაში ახალი საგმირო საქმეებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ეკონომიკისა და ძლიერების ახალი აღმავლობისათვის, ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის.**

**მოვუწოდებთ ლენინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს 1951 წლის 18 თებერვალს კვლავ ცხადყონ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, თავიანთი ურღვევი დარაზმულობა ბოლშევიკების პარტიის — ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო!**

**ყველანი არჩევნებზე!**

**გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!**

**გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში!**

**გაუმარჯოს დეპუტატობის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს — დიდ სტალინს!**

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ე. ბ. აბულაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბათუმის რაიონის კახაბრის № 330 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ესმე ბაირამის ასული აბულაძე, ბათუმის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1912 წელს დაბადებული, ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. დ. ს. ხელაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბათუმის რაიონის აჭარისწყლის № 331 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. დიომიდე სეიდის-ძე ხელაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1906 წელს დაბადებული, ქალაქ ბათუმის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ნ. მ. კაკაბაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბათუმის რაიონის ჩაისუბნის № 332 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ნინო მაქსიმეს ასული კაკაბაძე, ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურის საექიმო უბნის გამგე, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1908 წელს დაბადებული, სოფელ მახინჯაურის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ა. ყ. ჯიჯავაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქობულეთის № 333 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. აიშე ყუზეთის ასული ჯიჯავაძე, სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1904 წელს დაბადებული, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ე. პ. ტაკიძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქობულეთის რაიონის ჩაქვის № 334 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ემინ პართენის-ძე ტაკიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1910 წელს დაბადებული, ქალაქ ქობულეთის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ხ. ო. ვასაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს № 335 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ხური ოსმანის ასული ვასაძე, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საკავშირო ალკკ წევრი, 1926 წელს დაბადებული, ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. გ. ო. ჯინჭარაძის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქობულეთის რაიონის ხუცუბნის № 336 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. გული ოსმანის ასული ჯინჭარაძე, სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1920 წელს დაბადებული, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მცხოვრები.

რეგისტრაციაში გატარებულია

### ამხ. ბ. ე. სარიშვილის კანდიდატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქედის № 337 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ბენიამინ ესეს-ძე სარიშვილი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, 1905 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მცხოვრები.

# კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა

(ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ი. ბ. სტალინის სიტყვის მე-5 წლისთავისათვის)

ხუთი წლის წინათ, 1946 წლის 9 თებერვალს, ამხანაგმა სტალინმა სიტყვა წარმოთქვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე. ამ ისტორიულ სიტყვაში ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა მეორე მსოფლიო ომის წარმოშობასა და ხასიათს, გვიჩვენა საბჭოთა ხალხის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, ცხადყო ამ გამარჯვების წყაროები და დასახა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

• • •

1941 წელს ამერიკის მონოპოლიების მიერ წელში გამართული და გაძლიერებული ჰიტლერული იმპერიალიზმი ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. ამერიკელ-ინგლისელ მტაცებლებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარების დახმარებით მოსპობდნენ საბჭოთა კავშირს — სოციალიზმის სამშობლოს. ჰიტლერელთა ურდოების გასამხნევებლად ღვარძლიანი ბურჟუაზიული პრესა ფართოდ ავრცელებდა ცილისწამებლურ ჭორებს, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება მტკიცე არ არის, საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს სიცოცხლის უნარი არ შესწევსო.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით დაამარცხა ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია. უმაგალითოდ მძიმე ბრძოლიდან ჩვენი სამშობლო გამარჯვებული გამოვიდა. იგი კიდევ უფრო ძლიერი გახდა.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა ხალხის მთელი ძალების გამოცდისა და შემოწმების დიდი სკოლა იყო. ამ მკაცრი შემოწმების პირობებში საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო თავისი სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა, თავისი უდიდესი უპირატესობანი. „ახლა საქმე ეხება იმას, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება უფრო სიცოცხლისუნარიანი და მყარი აღმოჩნდა, ვიდრე არასაბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის უკეთესი ფორმაა, ვიდრე რომელიმე არასაბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება“.

ომმა ცხადყო ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების მძლავრი სასიცოცხლო ძალა. ხალხთა მეგობრობასა, ძმურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე დამყარებულმა საბჭოთა სახელმწიფომ წარმატებით გაუძლო გამოცდას და ომის განმავლობაში კიდევ უფრო განმტკიცდა. „...საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება,— აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ისეთ სისტემას, სადაც ეროვნული საკითხი და ერების თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში“.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკად დაამარცხეს მტრის არმიები. ომში საბჭოთა არმიამ თავი გამოიჩინა როგორც ჩვენი დროის პირველხარისხოვანმა არმიამ, რომელსაც აქვს სავსებით თანამედროვე საჭურველი, ჰყავს უაღრესად გამოცდილ მეთაურთა შემადგენლობა და აქვს მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებანი. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა არა მარტო დაამარცხეს და ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განდევნეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები, არამედ ევროპის ხალხებიც იხსნეს ფაშისტური მონობისაგან. ტყუილად კი არ არის, რომ ევროპის ხალხები საბჭოთა არმიას სიყვარულით უწოდებენ განმათავისუფლებელ არმიას. საბჭოთა შეიარაღებული ძალები ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული დამცველები, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დამცველები არიან.

სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით. სამამულო ომის დღეებში პარტია წარმოსდგა როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ შეაერთა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების ყველა ღონისძიება, ჩვენი ძალები და საშუალებანი დაუქვემდებარა მტრის განადგურების საქმეს. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს.

ჩვენმა ხალხმა გამარჯვება მოიპოვა იმიტომ, რომ კომუნისტური პარტია სამამულო ომამდე ბევრად ადრე, აწყობდა რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, განუწყვეტლივ სჭედდა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას. კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული, ნაცადი ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა სტალინური ხუთწლედების პერიოდში განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც მომზადებული იყო აქტიური თავდაცვისათვის.

ომისწინა ცამეტი წლის განმავლობაში ლენინ-სტალინის პარტიის შორსმჭვრეტელი პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა კავშირში შეიქმნა მძლავრი ეკონომიური ბაზა. 1940 წელს 1913 წელთან შედარებით დამზადებულ იქნა: თუჯი—თითქმის 4-ჯერ მეტი, ფოლადი — 4½-ჯერ მეტი, ქვანახშირი—5½-ჯერ მეტი, ნავთი—3½-ჯერ მეტი, სასაქონლო მარცვლეული — 17 მილიონი ტონით მეტი, ნედლი ბამბა—3½-ჯერ მეტი.

„წარმოების ასეთი უმაგალითო ზრდა,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,— არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა“.

ლენინ-სტალინის დიადი პარტია, სსრ კავშირის მძლავრი ავანგარდი, ამხილებდა და სპობდა რა თავის გზაზე სოციალიზმის მტრებს — ტროცკისტ-ბუხარინელთ და სხვებს, მტკიცე რწმენით მიდიოდა წინ, ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციებს. პარტია განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა მასებს, წარმართავდა მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას სოციალისტური მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ამოცანების გადაწყვეტისაკენ. ომისშემდგომ წლებში პარტია კვლავ მოგვევლინა როგორც საბჭოთა ხალხის უდიდესი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მის ბრძოლაში სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

• • •

კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა.

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი,—ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“.

ხუთწლიანი გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრულად შემცირების გზით.

ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში საბჭოთა მეცნიერებას და მის მოღვაწეებს დაუსახა მნიშვნელოვანი ამოცანა — უახლოეს ხანში დაეწიონ და გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც აღაფრთოვანა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ, გამოიჩინეს უმაგალითო შემოქმედებითი ენერგია, რაც მიმართული იქნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ. მძლავრმა შრომითმა აღმავლობამ მოიცვა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მილიონობით მშრომელი.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანმა შემოქმედებითმა მუშაობამ თავისი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ომისშემდგომ ხუთწლედში აღდგენილ იქნა და ახლად აშენდა ექვსი ათასამდე სამრეწველო საწარმო, წვრილ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს თუ არ ვიანგარიშებთ. ახალ ტექნიკურ ბაზაზე აღდგენილ იქნა სამხრეთის მთელი მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც ფაშისტებმა დაანგრიეს. აღდგენილია და ახლა ომამდელზე სამჯერ მეტ ქვანახშირს იძლევა მოსკოვის ქვანახშირის აუზი, რომელიც დანგრეული იყო ჰიტლერელების მიერ.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე გასული წლის 11 თვეში გადაჭარბებულ იქნა 72 პროცენტით. 1949 წელთან შედარებით სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1950 წელს 23 პროცენტით გაიზარდა. 1950 წლის მესამე კვარტალში შრომის ნაყოფიერება 40 პროცენტით აღემატებოდა ომამდელ დონეს.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობამ. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 1950 წელს შეადგენდა 7 მილიარდ 600 მილიონ ფუთს, რაც 300 მილიონ ფუთზე მეტით სჭარბობს ომამდელი 1940 წლის დონეს. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ის დავალება, რაც ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო 1950 წლისათვის, გადაჭარბებით შესრულდა. ბამბის საერთო მოსავალმა გასულ წელს 3 მილიონ 750 ათასი ტონა შეადგინა და ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის დავალებას 650 ათასი ტონით გადააჭარბა. ყველა კულტურის ნათესი ფართობები გასულ წელს 1949 წელთან შედარებით გადიდდა 6,6 მილიონი ჰექტარით, მათ შორის ხორბლისა—1,7 მილიონი ჰექტარით და ბამბისა—ნახევარ მილიონზე მეტი ჰექტარით. მნიშვნელოვნად გადიდდა საკვები კულტურების ნათესი ფართობები. წარმატებით ხორციელდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა, მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მეოხებით სწრაფი ტემპებით უმჯობესდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის სწრაფი ზრდა. ჩვენი ქვეყნის სახალხო შემოსავალმა 1950 წელს ბევრად გადააჭარბა ომისშემდგომი ხუთწლედით გათვალისწინებულ ოდენობას. მნიშვნელოვნად აღემატება ომამდელ დონეს სახალხო მოხმარება. სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების სამგზის შემცირებამ, ფულის რეფორმის გატარებამ მკვეთრად აამაღლა მშრომელთა კეთილდღეობა. მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი უკვე 1949 წელს 24 პროცენტით გადიდდა ომამდელ დონესთან შედარებით, ხოლო გლეხების შემოსავალი 30-ზე მეტი პროცენტით გაიზარდა. 1950 წელს მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შემოსავალი, შესადარ ფასებში, 1949 წელთან შედარებით 19 პროცენტით გადიდდა.

უაღრესად გადიდდა საბინაო მშენებლობა. ომისშემდგომი ხუთწლედის 4 წელიწადსა და 10 თვეში ქალაქებში აღდგენილ იქნა და აშენდა დაახლოებით 90 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. სოფლად ამავე ხნის განმავლობაში აღდგენილ იქნა და აშენდა 2,5 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

• • •

წარმატებით მოიშუშა რა ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა და მნიშვნელოვნად წასწია რა წინ სახალხო მეურნეობა, ჩვენი ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით.

კომუნიზმი — კაცობრიობის მრავალი თაობის ოცნება—ჩვენს ქვეყანაში რეალობად იქცევა.

ლენინმა და სტალინმა ჩვენს ხალხს უჩვენეს გზა კომუნიზმისაკენ. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში ჩვენს ქვეყანაში „...პროლეტარული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, კომუნიზმის ყლორტები კი არ დაჭკნება, არამედ გაიზრდება და განვითარდება სრულ კომუნიზმად“ (თხზ., ტ. 29, გვ. 397).

ამხანაგმა სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზები. საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის განხორციელებას ჩვენ შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შევქმნით პროდუქტებისა და მოხმარების საგნების სიუხვეს.

1946 წლის 9 თებერვლის სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა დაგვიხატა კომუნისტური მშენებლობის სასიხარულო პერსპექტივა, მოგვცა კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

„რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი,—პარტიას განზრახვა აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან“.

კომუნიზმის მშენებლობის გენიალური სტალინური პროგრამით შეიარაღებულმა საბჭოთა ხალხმა წარმატებით დაამთავრა ომისშემდგომი ხუთწლედი, შემოქმედებითი თავდადებული შრომით ქმნის კომუნიზმის მატერიალურ ბაზას. კომუნიზმის საქმეში ახალ შესანიშნავ წვლილს წარმოადგენენ კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობანი, რომელთა განხორციელებასაც ჩვენი ხალხი შეუდგა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით ვოლგაზე, დნეპრზე, დონზე, უკრაინაში, თურქმენეთსა და ყირიმში იქმნება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები და არხები, რომლებიც მოგვცემენ ათეულ მილიარდობით კილოვატ-საათ იაფ ენერგიას, გარდაქმნიან ჩვენი სამშობლოს უდიდეს სივრცეებს, შექმნიან ახალ სამრეწველო კერებს და აყვავებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს. გიგანტური ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების აგება მოწმობს ჩვენი სახელმწიფოს გაზრდილ ძლიერებას და მტკიცე თანმიმდევრულ სტალინურ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ.

კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნა გულისხმობს ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უხვად, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის უმაგალითო მასშტაბით აღჭურვას უახლესი, მაღალი წარმადობის მანქანებითა და მექანიზმებით. თუ 1949 წელს ჩვენმა საბჭოთა მრეწველობამ შექმნა და სერიულ წარმოებაში გადასცა 300 ახალი ტიპის მანქანები და მექანიზმები, უკვე შარშან გამოშვებულ იქნა 400-ზე მეტი ახალი ტიპისა და მარკის მაღალი წარმადობის მანქანები და მექანიზმები. კომუნიზმის სტალინური მშენებლობებისათვის და ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის შემდგომი მექანიზაციისათვის გამოშვებულია მძლავრი ერთციცხვიანი და მრავალციცხვიანი ექსკავატორები და სკრეპერები, ახალი ტიპების ქვანახშირის კომბაინები, ათვისებულია ქვანახშირის დასატვირთი და მადნის დასატვირთი ორიგინალური მანქანების წარმოება.

შექმნილია ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მარცვლეული, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების თესვისა და მოსავლის აღების მექანიზაციის უფრო მეტად გადიდებას. მარტო 1950 წელს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ სახელმწიფოსაგან მიიღო 180 ათასზე მეტი ტრაქტორი, 15-ძალიანზე გადაყვანით, 46 ათასი კომბაინი, 82 ათასი სატვირთო ავტომობილი და 1.700 ათასზე მეტი ჰისაბმელი იარაღი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის წარმატებანი, საბჭოთა კავშირისა, რომელიც გზას კაფავს კომუნიზმისაკენ, აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს კაპიტალისტური მონობიდან თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ უკვე დადგნენ ჩინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხები. ამ დიადი დროშით თავიანთი თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან კორეისა და ვიეტნამის ხალხები.

ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეები — ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მთავარი ჩამხშობები — კაპიტალიზმის გადაუჭრელი წინააღმდეგობებიდან გამოსავალს ეძებენ კორეაში საომარი ავანტიურების გიჟურ პოლიტიკაში, ახალი მსოფლიო ომის გააფთრებულ მზადებაში.

მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ცხოვრების დიდი სკოლა გაიარეს. ისინი მრისხანებით უარყოფენ ომის პოლიტიკას. მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სტალინური იდეებით აღფრთოვანებულმა სხვადასხვა რასისა და ეროვნების 500 მილიონმა კაცმა ხელი მოაწერა მშვიდობის დიად ქარტიას—სტოკჰოლმის მოწოდებას. არ დავუშვათ ახალი ომი — ასეთია მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის ერთსულოვანი მოთხოვნა. ისინი იმედით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს, რომელიც სამამულო ომის დღეებში ფაშისტური მონობის საფრთხისაგან კაცობრიობის მხსნელად გამოვიდა, ახლა კი ხალხების წინაშე გამოდის, როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯი და მედროშე.

• • •

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უმაგალითო მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. ამჟამად კომუნისტური პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი—მშრომელთა მილიონიან მასებს აღაფრთოვანებს და რაზმავს ახალი წარმატებების მისაღწევად კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების მოახლოებულ არჩევნებს საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტული აღმავლობის პირობებში ეგებება. საარჩევნო კამპანია ახალი ძალით ცხადყოფს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრის ამხანაგ სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უდიდეს ნდობას და უსაზღვრო სიყვარულს.

კომუნისტური პარტია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებზე მიდის უპარტიოებთან ბლოკში. ეს ურღვევი სტალინური ბლოკი ჩამოყალიბდა კომუნიზმისათვის დიად ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის სახელით აღფრთოვანებული მილიონობით საბჭოთა ადამიანი მივა საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ა. ტორსუნოვი

# კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები

★ ★ ★

## სახელმოხვეჭილი მაღაროელი

მთელ ჩვენს დიად სამშობლოში განთქმულია სახელოვანი მეტალურგების კორობოვების ოჯახი. ივანე კორობოვი ძველი მებრძმედეა. იგი მაკეევკის მეტალურგიულ ქარხანაში საამქროს უფროს ოსტატად მუშაობს. მან თავი გამოიჩინა, როგორც წარმოების ნოვატორმა და მეორედ არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მისმა სამმა ვაჟმა ჩვენს დროში მიიღო უმაღლესი განათლება, სამივე გამოჩენილი სპეციალისტი-მეტალურგი და საზოგადო მოღვაწეა.

კრემლში მეტალურგთა მიღებისას დიდმა სტალინმა დღეგრძელობა უსურვა კორობოვების მთელ ოჯახს და შემდეგ მეგობრულად უთხრა ი. კორობოვს:

— ყოჩაღ! გმადლობ, რომ ასეთი ოჯახი აღზარდე.

— ყოჩაღი კი ვარ, — უპასუხა მან, — მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო, არც მე ვიქნებოდი ყოჩაღი!

სახელგანთქმული მეტალურგის ეს შესანიშნავი სიტყვები მილიონობით საბჭოთა მუშას შეუძლია გაიმეოროს. ამ სიტყვებს ამაყად იმეორებს სახელმოხვეჭილი ჭიათურელი მაღაროელი ტრიფონ ფოფხაძეც. მართლაც, საბჭოთა წყობილება რომ არა, იგი იქნებოდა დაბეჩავებული გლეხი ან რომელიმე კაპიტალისტის დაქირავებული მუშა. ტრიფონს ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებამ, სტალინურმა ეპოქამ დაუმკვიდრა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება.

ამხ. ტრიფონ ფოფხაძის ბიოგრაფია განსაკუთრებული როდია. იგი მაშინ დაიბადა, როცა იწყებოდა განთიადის მაუწყებელი ქარიშხალი, როცა უკვე ახალი იდეები იჭრებოდა ზემო იმერეთის სოფლებსა და მარგანეცის ქალაქში. ტრიფონი თავის წლოვანებას რუსეთის პირველი რევოლუციიდან ითვლის...

მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და შესაძლებლობა არ ჰქონდათ ბავშვებისათვის ესწავლებინათ, მით უფრო, რომ ოჯახი მრავალშვილიანი იყო. წამოიზარდა ტრიფონი. იგი ბავშვობიდანვე გამრჯე და შრომისმოყვარე იყო, დაუზარელად შველოდა მშობლებს შრომაში.

ოცი წლის ჭაბუკი მარგანეცის მაღაროებში წავიდა სამუშაოდ. აქედან მშობლიური არმიის რიგებში გაიწვიეს. საარტილერიო ნაწილში ჩარიცხეს. აქაც თავი გამოიჩინა, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი გახდა. ტრიფონი ჩინებულ არტილერისტად ითვლებოდა. რამდენიმე მადლობა და სახელობითი ჯილდო დაიმსახურა.

არმიიდან 1929 წელს დაბრუნდა და მშობლიურ სტალინის სახელობის მაღაროს მიაშურა. მას შემდეგ განუწყვეტლივ აქ მუშაობს.

ტრიფონმა, ყველგან და ყოველთვის შრომისმოყვარემ, კეთილსინდისიერმა და თავდადებულმა, მაღაროში მალე გაითქვა სახელი და ყველას პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

მიდიოდნენ დღეები. სამშობლოსა და პროფესიის სიყვარულს, ახალგაზრდულ ძალას და შეუპოვრობას თავისი გაჰქონდა — ტრიფონი საუცხოო მაჩვენებლებს აღწევდა. იგი ხალხის თვალში დღითიდღე იზრდებოდა, როგორც სტახანოველი-ნოვატორი.

დადგა 1935 წელი. დონბასელ ალექსი სტახანოვის სანგრევი უროს დევგმირულმა დარტყმამ მთელ ქვეყანას აუწყა სტახანოვური მოძრაობის დაწყება.

„სტახანოვური მოძრაობა, — თქვა მაშინ დიდმა სტალინმა,—უაღრესად გაიშლება, ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქსა და რაიონს მოედება და ახალ მიღწევათა სასწაულებს დაგვანახვებს“.

ტრიფონი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სტახანოვურ მოძრაობას ჭიათურაში და გამომუშავების მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა. მისი სახელი მალე ჭიათურას გასცდა.

სხვასაც ასწავლოს, გაუზიაროს თავისი მდიდარი საწარმოო გამოცდილება,—აი მუდამ რას ცდილობს ტრიფონი. ერთხანს სტახანოვური მოძრაობის ინსტრუქტორი იყო და ათობით მუშას შეასწავლა მუშაობის სტახანოვური მეთოდი. ახლაც გულმოდგინედ და ხალისით ზრდის ახალგაზრდებს. მ. ჭუმბურიძე, მ. ამყოლაძე, მ. აბრამიშვილი, შ. სამხარაძე, ნ. ცუცქირიძე, ვლ. ფოფხაძე და სხვები ტრიფონის მოწაფეები არიან და წარჩინებულ სტახანოველებად ითვლებიან სტალინის სახელობის მაღაროში.

ტრიფონისათვის შრომა გადაქცეულია ღირსებისა და სახელის, მამაცობისა და გმირობის საქმედ, მისთვის შრომა ნამდვილი შემოქმედებაა. თავმდაბლობა ბოლშევიკის სამკაულია, იგი ამშვენებს ადამიანს. მართლაც, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, საბჭოთა ადამიანის თავმდაბლური, უხმაურო, პატიოსანი შრომა არის ნამდვილად დიადი შემოქმედებითი შრომა, რომელიც წყვეტს ისტორიის ბედს. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, თავმდაბლობა და კეთილსინდისიერი შრომა, პატიოსნება და უანგარობა—ტრიფონ ფოფხაძის კეთილშობილური თვისებებია. იგი სამშობლომ დააჯილდოვა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, ორი მედლით. მას ჭიათურელმა მაღაროელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს, როცა მესამედ დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მარგანეცის ქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

ეს კეთილსინდისიერი შრომის, მუშის ბარაქიანი მარჯვენის დიდი დაფასებაა. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი.

პ. ჟიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## ნოვატორი მეშახტე

ტყიბულელ მეშახტეთა შორის ფართოდ არის ცნობილი მოწინავე მნგრეველ-მებიგის, უპარტიო ბოლშევიკის ერმაგონ მაქსიმეს-ძე ცნობილაძის საქმიანობა. მან ენერგიული და თავდადებული შრომით მეშახტე ამომრჩეველთა დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

ე. ცნობილაძე დაიბადა 1906 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთში, ყოფილი მეშახტის—მაქსიმე ცნობილაძის ოჯახში. მშობლები წინათ ღარიბად ცხოვრობდნენ. მაქსიმე და მისი მეუღლე ელისაბედი ამჟამად ღრმა მოხუცები არიან. მწარედ იგონებენ წყეული წარსულის დუხჭირ ცხოვრებას.

— მეშახტე წინათ ყველაზე უუფლებო ადამიანად ითვლებოდა. ახლა კი ვხედავ, როგორ დაფასდა იგი, როგორ მამობრივად ზრუნავენ მეშახტეზე ბოლშევიკური პარტია და მთავრობა, დიდი სტალინი, — ამბობს მოხუცი მაქსიმე ცნობილაძე.

ერმაგონ ცნობილაძე ქვანახშირის მონგრევის შეუდარებელი ოსტატია. ვინ მოსთვლის, რამდენი ათეული ათასი ტონა ძვირფასი სათბობი ამოუღია მიწის წიაღიდან...

დიდი სამამულო ომის წლებში ამხ. ე. ცნობილაძე ხშირად სამ-ოთხ სანგრევში ორი კაცის მაგიერ მუშაობდა. მან კარგად იცოდა, რომ გეგმის გადამეტებით მონგრეული თვითეული ტონა ქვანახშირი აახლოვებდა მტერზე გამარჯვებას.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ე. ცნობილაძის პატიოსან და თავდადებულ შრომას. 1948 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ე. ცნობილაძე ნოვატორი მეშახტეა. ტყიბულის შახტებში იგი პირველი გამოვიდა რენტაბელური მუშაობისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის მებრძოლად. 1948 წელს ე. ცნობილაძემ წამოაყენა წინადადება ძველი სამთო გამონამუშევრებიდან ხის სამაგრი მასალის გამოტანისა და მათი ხელახლა გამოყენების შესახებ. ეს წინადადება ფართოდ არის ამჟამად დანერგილი ტყიბულის შახტების ყველა საექსპლოატაციო უბანში, რაც დიდძალი ზეგეგმითი დაგროვების საშუალებას იძლევა.

ამას წინათ სტალინის სახელობის შახტში შეაჯამეს ამხ. ე. ცნობილაძის მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ მას ხუთი წლის განმავლობაში გადანაგრებული აქვს ორი კილომეტრის სიგრძის სამთო გამონამუშევარი. იგი არა მარტო თვითონ მუშაობს წარმატებით, არამედ დიდი მონდომებით გადასცემს ახალ მუშებს თავის მდიდარ გამოცდილებას. მნგრეველები ქ. გოგიძე, ი. შარვაძე, მებიგეები მ. ჩიტორელიძე, ვ. ცქიფურიშვილი და მრავალი სხვა ე. ცნობილაძის მოწაფეები არიან, გვერდში უდგანან აღმზრდელს და დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ საწარმოო დავალებებს.

ჩვენ, ტყიბულელი მეშახტეები, 18 თებერვალს ერთსულოვნად მივალთ საარჩევნო ყუთთან და ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ამხ. ე. ცნობილაძეს.

**ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის სტახანოველი მეშახტეები: ს. ლაფერაძე, ს. ლანჩავა, ივ. ორჯონიკიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფურცხვანიძე, პარტბიუროს მდივანი ნ. კბილაძე, საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ალ. ხუციშვილი.**

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ კომიტეტში

**ნიუ-იორკი,** 7 თებერვალი. (საქდესი). დღეს დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი იმ საჩივრის განხილვას, რომელიც შეეხება ჩინეთის წინააღმდეგ შეერთებული შტატების აგრესიის, კერძოდ, შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ჩინეთის საჰაერო საზღვრების დარღვევისა და ჩინეთის ტერიტორიის დაბომბვის და მისთვის ცეცხლის დაშენის საკითხს.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ნოსეკმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია გადაჭრით უარყოფს შეერთებული შტატების პასუხს საბჭოთა კავშირის საჩივარზე, რადგან ეს პასუხი სრულიად უგულებელყოფს წარმოშობილი პრობლემის ხასიათს. შეერთებული შტატების პასუხი არის ცდა ჩამოაშოროს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ყურადღება იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატების არაპროვოცირებული აგრესია პირდაპირ საფრთხეს უქმნის ჩინელი ხალხის და აზიის სხვა ხალხების უშიშროებას და, ამრიგად, ემუქრება საყოველთაო მშვიდობას.

ნოსეკმა ჩინეთის მიმართ საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც ემყარება მეგობრობასა და თანამშრომლობას, დაუპირდაპირა შეერთებული შტატების და მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობაში მყოფი სხვა ქვეყნების მმართველი წრეების აგრესიული გეგმები ჩინეთის მიმართ. რეზოლუცია, რომელიც შეერთებულმა შტატებმა გენერალურ ასამბლეაში გაიყვანეს, თქვა ნოსეკმა, ჩინეთისადმი შეერთებული შტატების „მეგობრული დამოკიდებულების" მჭევრმეტყველი მაგალითია. შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვდნენ ამ რეზოლუციის მიღებას, რათა გამოიწვიონ ომი ჩინეთის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ამ მიზნით შეერთებულმა შტატებმა ხელში ჩაიგდეს ტაივანი.

შემდეგ ნოსეკი შეეხო იმას, თუ როგორ ცდილობდნენ შეერთებული შტატები მონოპოლიურად ჩაეგდოთ ხელში ჩინეთის ბაზარი, ამისათვის გამოეყენებინათ ეკონომიური ძალის, საკანონმდებლო გეგმებისა და დიპლომატიის ერთობლივი ზეგავლენა. ნოსეკმა მოაგონა დამსწრეთ, თუ რა გადამწყვეტი როლი შეასრულა იაპონიისადმი ამერიკის დახმარებამ დაპყრობით ომში, რომელსაც იაპონელები ჩინეთის წინააღმდეგ ეწეოდნენ. ნოსეკმა აღნიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებული შტატები ცდილობდნენ დაეკავებინათ იაპონიის ადგილი, რომელიც ჩინეთის მთავარი ექსპლოატატორი იყო, და, როცა ეს ვერ მოახერხეს, პირდაპირ სამხედრო ჩარევას მიმართეს. შემდეგ ნოსეკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა ტაივანის დაპყრობით დაარღვიეს საზეიმო საერთაშორისო შეთანხმება. ეს უშუალო შედეგია შეერთებული შტატების მმართველი წრეების ომისშემდგომი პოლიტიკისა, რომელთაც კაიროს და პოტსდამის შეთანხმებანი „მოძველებულად" მიაჩნიათ, რადგან ეს შეთანხმებანი ხელს უშლიან ამერიკის შეერთებულ შტატებს განახორციელონ იაპონიისა და გერმანიის რემილიტარიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებთან.

დასასრულ ნოსეკმა მოუწოდა სხდომას მიიღოს საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი, რომლებიც მოითხოვს, რომ უშიშროების საბჭომ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესიული მოქმედება ჩინეთის წინააღმდეგ.

შემდეგ ილაპარაკა უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა დემჩენკომ. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელია შეერთებული შტატების პასუხი ამ საჩივარზე, რომელიც ა. ი. ვიშინსკიმ და ჩინეთის წარმომადგენელმა უ სიუ-ციუანმა უდავო ფაქტებით დაასაბუთეს. საერთაშორისო სამართლის საერთოდ მიღებული ნორმების თვალსაზრისით, თქვა დემჩენკომ, სრულიად უდავოა, რომ შეერთებულმა შტატებმა აგრესია მოახდინეს, როცა შეიჭრნენ ტაივანზე, მოაწყეს ტაივანის სამხედრო-საზღვაო ბლოკადა, იარაღით ჩაერივნენ ჩინეთის საშინაო საქმეებში და სისტემატურად არღვევენ ჩინეთის საჰაერო საზღვრებს შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ჩინეთის ტერიტორიის დაბომბვისა და მისთვის ცეცხლის დაშენის გზით. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენელი ოსტინი უარყოფდა ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, უდავოა, რომ შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში ექვსი მილიარდი დოლარი სამხედრო დახმარება მისცეს ჩან კაი-შის გაკოტრებულ ხროვას და ახლა კვლავ აქტიურად ეხმარებიან ჩან კაი-შის სახელგატეხილ ხროვას. არასრული ცნობებით, 1950 წლის პირველ 9 თვეში შეერთებულმა შტატებმა და კანადამ რამდენიმე ასეული თვითმფრინავი და 700 ტანკი გაუგზავნეს ჩან კაი-შის.

დემჩენკო შეეხო აგრეთვე სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ჩან კაი-შისა და მაკარტურს შორის დადებულ შეთანხმებას.

დასასრულ დემჩენკომ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა შეწყდეს შეერთებული შტატების აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ, როგორც ეს აღნიშნულია საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ რეზოლუციების პროექტებში.

ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა პასუხი გასცა შეერთებული შტატების წარმომადგენლის ოსტინის 2 თებერვლის განცხადებას. ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუმცა ოსტინმა დაიმოწმა ტრუმენისა და ამერიკის შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის ბრძანებები ტაივანის შესახებ, რათა გაებათილებინა აგრესიის ბრალდება, წაყენებული შეერთებული შტატებისათვის, მაგრამ ეს დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ბრალდებანი სწორია, რადგან ეს დოკუმენტები შეიცავენ კონკრეტულ დირექტივებს შეერთებული შტატების მე-7 ფლოტისადმი. შეერთებული შტატების გეგმები, რომლებიც ტაივანის დაპყრობას ითვალისწინებდნენ, საბოლოო სახით შემუშავებულ იქნა კორეაში ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. 1949 წლის დამლევს შეერთებული შტატების კონგრესის წრეებსა და სამხედრო წრეებში გაისმოდა ფორმოზის ოკუპაციის მოთხოვნა, მაგრამ ამან ისეთი შეშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში, რომ ტრუმენი და აჩესონი თავიანთ 1950 წლის იანვრის განცხადებებში ცდილობდნენ დაეშოშმინებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, უარყოფდნენ რა ტაივანზე შეჭრის ყოველგვარ განზრახვას. მაგრამ შეერთებულ შტატებს არ შეუცვლიათ ტაივანის დაპყრობის თავიანთი გეგმები და კორეის ამბების დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ტაივანის ოკუპაციის საკითხი პრაქტიკული თვალსაზრისით განიხილეს ტოკიოში მაკარტურმა, დალესმა, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯონსონმა და შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარემ ბრედლიმ. დალესი ტოკიოში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიეღო ამ მოლაპარაკებაში კორეიდან დაბრუნებისთანავე, სადაც იგი გაეცნო კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე მარიონეტი ლი სინ მანის ჯარების თავდასხმისათვის მზადებას. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყებოდა, დალესმა წარუდგინა ტრუმენს მოხსენება ტაივანის შესახებ. ამ მოხსენების საფუძველზე ტრუმენმა გასცა თავისი 1950 წლის 27 ივნისის ბრძანება. ამრიგად, ტაივანის ოკუპაცია შეერთებული შტატების მხრივ აგრესიის აქტი იყო, რომელიც განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კორეაში მოწყობილი აგრესიისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ერთიც და მეორეც ერთსა და იმავე დროს მოხდა.

ცარაპკინმა სასაცილოდ აიღო შეერთებული შტატების წარმომადგენლის ოსტინის მტკიცება, თითქოს მაკარტურს ტაივანზე მისია გაეგზავნოს ამ რაიონის უშიშროების უზრუნველსაყოფად. შეერთებული შტატებისათვის ან შეერთებული შტატების შორეული აღმოსავლეთის პროკონსულ მაკარტურისათვის არავის მიუცია უფლება დაიცვან ტაივანის უშიშროება, უფლება, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ტაივანის კანონიერ მესაკუთრეს — ჩინელ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნა ცარაპკინმა.

ამგვარად, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის აგრესიის შეჩერება, რადგან თუ იგი შეჩერებულ არ იქნა, შესაძლოა მთელ აზიაზე გავრცელდეს. ამას მოწმობს გამოქვეყნებული ცნობები მაკარტურის იმ წინადადებათა შესახებ, რომ გამოყენებულ იქნან კორეაში ჩან კაი-შის ხროვის ჯარები და დაიბომბოს მანჯურია.

დასასრულ ს. კ. ცარაპკინმა განაცხადა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა და განახორციელოს ღონისძიებანი შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის აგრესიის შესაწყვეტად; საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს მიღებულ იქნას მისი რეზოლუციების პროექტები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ამერიკის აგრესიის შედეგად შექმნილი მდგომარეობის სრული მოწესრიგება.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საერთო კამათი დამთავრდა.

კენჭისყრის დროს კომიტეტმა 49 ხმით ხუთი ხმის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) უარყო საბჭოთა კავშირის რეზოლუცია ამერიკის აგრესიის შესახებ, რაც გამოიხატა ტაივანზე შეჭრით და ტაივანის სამხედრო-საზღვაო ბლოკადის მოწყობით. თავი შეიკავეს იუგოსლავიამ, ბირმამ და ინდონეზიამ.

შემდეგ კომიტეტმა 50 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (ორმა — იუგოსლავიამ და ავღანეთმა — თავი შეიკავა) უარყო საბჭოთა რეზოლუციის პროექტი შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ.

ამით კომიტეტის სხდომა დამთავრდა.

**ნიუ-იორკი,** 8 თებერვალი. (საქდესი). გუშინ დღის სხდომის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა მცირე ხნის მსჯელობის შემდეგ მიიღო დიდი ბრიტანეთის დელეგატის ჯების წინადადება — გადაიდოს კამათი ეგრეთწოდებულ „ფორმოზას საკითხზე", რომელიც თავდაპირველად შეერთებულმა შტატებმა შეიტანეს. ჯებმა განაცხადა, რომ გადადება სასურველია, რადგან ახლა, სანამ მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში „მოწესრიგებული არ არის", შეუძლებელია „მტკიცე გადაწყვეტილების" მიღება.

შეერთებული შტატების წარმომადგენელი ოსტინი დაეთანხმა ჯებს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს სურთ დატოვონ ეს პუნქტი დღის წესრიგში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია, რომ დღის წესრიგში დარჩეს ეგრეთწოდებული „ფორმოზის საკითხი", ისევე როგორც საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგი იყო, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში შეეტანათ, რადგან ეს წესდების დარღვევა და ჩინელი ხალხის შეურაცხყოფაა. საბჭოთა დელეგაცია, თქვა ცარაპკინმა, ჯების წინადადების წინააღმდეგ მისცემს ხმას.

შემდეგ კომიტეტმა 38 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (რვამ თავი შეიკავა) მოიწონა ჯების წინადადება. საბჭოთა კავშირისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ამ წინადადების წინააღმდეგ მისცეს ხმა, აღნიშნეს, რომ მათი პოზიცია კენჭისყრის დროს იმით აიხსნება, რომ ეგრეთწოდებული ფორმოზის სტატუსის საკითხი საერთოდ არ არსებობს, რადგან ჩინეთის სუვერენიტეტი ამ ტერიტორიისადმი სავსებით აღიარებულია საზეიმო შეთანხმებებით. სირიის წარმომადგენელმა ელ-ხურიმ განაცხადა, რომ მან კენჭისყრაში თავი შეიკავა, რადგან წინადადება გაურკვეველი ხასიათისაა.

თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება კომიტეტის სხდომის გადადების შესახებ.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხიმ წაიკითხა ცირკულარი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოსცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომელ ჩინელ მოქალაქეთათვის. ამ ცირკულარით სამდივნო აუწყებს ამ პირთ, რომ „საჭიროა" შეასრულონ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს განკარგულება, რომლის თანახმადაც ყველა ჩინელმა მოქალაქემ, ვისაც 1.000-ზე მეტი დოლარი აქვს, უნდა აცნობოს ეს ფინანსთა სამინისტროს. კაც-სუხიმ პროტესტი განაცხადა ამ განკარგულების წინააღმდეგ, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომელთა ექსტერიტორიალობას, და იკითხა, ვისი მითითებით გაავრცელა სამდივნომ ზემოაღნიშნული ცირკულარი.

კომიტეტის თავმჯდომარემ ურდანეტამ განაცხადა, ამ საკითხზე ახსნა-განმარტებას ვერ მოგცემთ, მაგრამ გენერალურ მდივანს ვაცნობებ პოლონეთის წარმომადგენლის „მოსაზრებებს".

ურდანეტამ სხდომის დამთავრების წინ განაცხადა, რომ პოლიტიკური კომიტეტი კვლავ მოწვეულ იქნება, როცა მოხსენებებს მოამზადებენ კომისიები, რომლებიც შეიქმნა გენერალური ასამბლეის უკანასკნელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ეს გადაწყვეტილება ჩინეთს ბრალად სდებს „აგრესიის" ჩადენას.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 7 თებერვალი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ვონჯუს (გენსიუ) რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიში და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას.

ფრონტის დასავლეთ და ცენტრალურ უბნებზე ბრძოლები გრძელდებოდა. სახალხო არმიის ნაწილები იგერიებენ მოწინააღმდეგის კონტრშეტევას და სერიოზულ დარტყმებს აყენებენ მას.

## კიმ ირ სენი დაჯილდოებულია „სახელმწიფო დროშის" ორდენით

**ფხენიანი,** 7 თებერვალი. (საქდესი). სახალხო არმიის შექმნისა და განმტკიცების, ამერიკელ იმპერიალისტ აგრესორთა და ლისინმანელ მოღალატეთა ხროვის გასანადგურებლად კორეის მთელი ძალების მობილიზაციის საქმეში, კორეელი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, აგრეთვე სამხედრო წარმატებებისათვის, რაც ხელს უწყობს განმათავისუფლებელ სამამულო ომში საბოლოო გამარჯვების მოპოვებას, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა სახალხო არმიის მთავარსარდალი კიმ ირ სენი დააჯილდოვა პირველი ხარისხის „სახელმწიფო დროშის" ორდენით.

## კორეის მოსახლეობა ეხმარება გმირ სახალხო არმიას

**ჩრდილოეთი კორეა,** 7 თებერვალი. (საქდესი). ომმა, რომელიც ამერიკელმა აგაზაკებმა თავს მოახვიეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, აამოქმედა კორეის მოსახლეობის ყველა ფენა, კორეას ქალაქებიდან და სოფლებიდან დიდძალი შემოწირულება მოდის თავდაცვის პატრიოტული ფონდისათვის.

ექვსი თვის მანძილზე თავდაცვის პატრიოტულ ფონდში შემოვიდა 807.144.221 ვონი, 600 ათას ფუთზე მეტი ბრინჯი და სხვა მარცვლეული კულტურები, აგრეთვე 11.514 შემოწირულება სხვადასხვა საგნის—ძვირფასი ნივთების, ოქროს და ვერცხლის ნაწარმის, რადიომიმღებების, საათების სახით. გარდა ამისა, სახალხო არმიის მეომრებს გაეგზავნათ ასეულათასობით ამანათი — პირველი საჭიროების საგნები.

ხალხის მიერ კორეის გმირი სახალხო არმიისათვის საყოველთაო მხარდაჭერა მკაფიოდ მოწმობს, რომ მთელ კორეელ ხალხს სძულს ამერიკელი აგრესორები და რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი გააკეთოს, რათა რაც შეიძლება მალე მოიპოვოს მტერზე საბოლოო გამარჯვება.

## მტრის მიერ დანგრეულ საწარმოთა აღდგენა ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციაში

**ჩრდილოეთი კორეა** 7 თებერვალი. (საქდესი). ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციაში კვლავ იწყებენ მუშაობას საწარმოო კოოპერატივები. ამერიკელი ოკუპანტების მიერ ბარბაროსულად დანგრეულ კოოპერაციულ საწარმოთა მეტი წილი აღდგენილია და ახალი წლიდან მოკიდებული წარმატებით უშვებს პროდუქციას მოსახლეობისათვის: ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ნაქსოვ ნივთებს, 40-ზე მეტი სახელწოდების სხვა სახის ტანსაცმელს, აგრეთვე კვების პროდუქტებს.

კოოპერაციულ საწარმოში, რომლის ხელმძღვანელიც არის ჩო ინ ხო, ექვსი დღის განმავლობაში აღდგენილ იქნა 100 საფეიქრო დაზგა და უკვე გამოშვებულია პირველი 2 ათასი მეტრი ქსოვილი.

იმ კოოპერაციული საწარმოს მუშებმა, რომლის ხელმძღვანელიც არის პაკმუნ ბინი, აღადგინეს თავიანთი საწარმო და ახალი წლიდან ყოველდღიურად 150 პროცენტით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

მუშაობა დაიწყეს აღდგენილმა სამკერვალო კოოპერატივებმა და კვების პროდუქტების დამამზადებელმა კოოპერატივებმა.

## პროტესტები ჩინეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანონო რეზოლუციის წინააღმდეგ

**პეკინი,** 7 თებერვალი. (საქდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ მთელი ჩინელი ხალხი გადაჭრით გმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანონო რეზოლუციას, რომელიც ცილსა სწამებს ჩინეთს. ყველა დემოკრატიული ორგანიზაცია მხარს უჭერს საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის ამასწინანდელ განცხადებას და აღნიშნავს, რომ ამ რეზოლუციის მიღება ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა სურს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება.

გომინდანის რევოლუციური კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ცილისწამება ჩინეთის წინააღმდეგ მხოლოდ იმას მოწმობს, რომ „იგი უარყოფითად ეპყრობა მშვიდობას და ისწრაფვის ომისაკენ". განცხადებაში ნათქვამია: „ჩინელ ხალხს საკმაო ძალები აქვს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველგვარ აგრესიას და დაიცვას თავისი ქვეყანა. რადგან ამერიკელი იმპერიალისტები დაჟინებით აფართოებენ ომს, ჩინელი ხალხისათვის ერთადერთი გზაა გადამწყვეტი ბრძოლა ამერიკელი აგრესორების სრულ განადგურებამდე".

ჩინეთის დემოკრატიული ლიგის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ამ ცოფიან ძაღლებს" —ამერიკელ იმპერიალისტებს მხოლოდ ის მოუღებს ბოლოს, რომ კორეას დახმარება გავუწიოთ ჩვენი მძლავრი მოძრაობის განმტკიცების გზით, რათა უფრო მძიმე ლახვარი ჩავცეთ ამერიკელ აგრესორებს".

ჩინეთის მუშათა და გლეხთა დემოკრატიული პარტია აცხადებს: „ამერიკელი იმპერიალისტების ეს მეტად უაზრო და სამარცხვინო რეზოლუცია კვლავ ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კორეისა და აზიის სხვა პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგების წინააღმდეგი არიან, რომ ისინი ისწრაფვიან გააფართოონ თავიანთი აგრესიული ომი და მტკიცედ გადაწყვიტეს იყვნენ ჩინელი და კორეელი ხალხების და აზიისა და მთელი მსოფლიოს სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხების მტერი".

რკინიგზელთა პროფკავშირის პეკინის კომიტეტმა მოუწოდა თავის წევრებს უფრო გააფართოონ პატრიოტული საწარმოო შეჯიბრება, რათა ხელი შეუწყონ ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმების ჩაშლას.

## ბონის „მინისტრის" ლერის საიდუმლო წერილი

**ბერლინი,** 7 თებერვალი (საქდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება, რომ, როგორც ბონის შინაგან საქმეთა „მინისტრის" ლერის საიდუმლო წერილიდან ჩანს, ადენაუერი გენერალ ციზენპაუერთან შეხვედრისას შეჰპირდა მას, რომ კანონის ძალას მოუსპობს ბონის ძირითადი კანონის მე-4 მუხლს, რომლითაც ნებადართულია სამხედრო სამსახურზე უარისთქმა, და ამრიგად ხელს შეუწყობს დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შედგენას.

## დასავლეთ გერმანიაში ამერიკის ახალი ჯარები ჩავიდნენ

**ლონდონი,** 7 თებერვალი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში ჩავიდა ამერიკის ჯარების შევსება—საზენიტო ბატალიონი და მეავტომატეთა ბატალიონი.

## საქართველოს ვოკალისტ შემსრულებელთა კონკურსი

დამთავრდა საქართველოს ვოკალისტ შემსრულებელთა კონკურსის პირველი და მეორე ტური. კონცერტები მოეწყო საქართველოს ფილარმონიის რუსთაველის სახელობის დარბაზში.

კონკურსზე სავალდებულო იყო შემდეგი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება: ერთი არია 1939 წლის შემდეგ დაწერილი ქართული ოპერიდან, ერთი გადამუშავებული ხალხური სიმღერა, ორი რომანსი, ორი სიმღერა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესდა 6 პრემია. ორი პირველი პრემია 3.000 მანეთი თვითეული, ორი მეორე პრემია 1.500 მანეთი თვითეული და ორი მესამე პრემია 1.000 მანეთი თვითეული.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 14 შემსრულებელმა. მათ შორის ჟიურიმ პირველი პრემია მიაკუთვნა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ მ. ნაკაშიძეს, მეორე პრემია — თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტ ლ. გიორგაძეს და საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტ ა. მიქაბერიძეს, მესამე პრემია — საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტ თ. ბახტაძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ლ. გერმესაშვილს და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტ ნ. სვანიშვილს.

კონკურსზე მოსმენილ იქნა ქართველ კომპოზიტორთა 13 არია, რომლებიც პირველად შეასრულეს ესტრადაზე. შესრულებული იყო კომპოზიტორების ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, შ. მშველიძის, ა. ბალანჩივაძის, ი. ტუსკიას, შ. თაქთაქიშვილის, ა. კერესელიძის, ა. მაჭავარიანის, რ. გაბიჩვაძის, რ. ლაღიძის, გ. კოკელაძის, ვ. გოკიელის, ს. მირიანაშვილის, შ. მილორავას, ა. ბუკიას, კ. ფოცხვერაშვილის, კ. შანიძის, შ. აზმაიფარაშვილის, ა. ანდრიაშვილის, თ. მაჭვარიშვილის, გ. ჩხიკვაძის, ნ. გუდიაშვილის, ა. შავერზაშვილის, ვ. ცაგარეიშვილის, ო. თაქთაქიშვილის, მ. დავითაშვილის და ო. ბარამიშვილის ნაწარმოებნი.

## უნივერსიტეტის ლექტორიუმში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმი თებერვალში აწყობს მოხსენებებს შემდეგ თემებზე:

10-II — საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის მანძილზე (მომხსენებელი დოცენტი ი. მიქელაძე); 13-II — საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში (მომხსენებელი დოცენტი ა. სურგულაძე); 15-II — ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა ამიერკავკასიაში 1921-1922 წ. წ. (მომხსენებელი მეცნიერების კანდიდატი ვ. ფარქოსაძე); 20-II — ამიერკავკასიის ფედერაციის როლი საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში სოციალიზმის გამარჯვების საქმეში (მომხსენებელი დოცენტი ა. კიკვაძე).

მოხსენებანი გაიმართება № 93 აუდიტორიაში. დასაწყისი დღის 3 საათზე. დასწრება თავისუფალია.

## ახალი მშენებლობანი

**სტალინირი.** (საქ. კორ.). სტალინირში აშენდა და ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

**სტალინირის რაიონის** სოფელ დმენისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წლებთან შედარებით რამდენჯერმე გაიზარდა შრომადღის ღირებულება. შეძლებულად და კულტურულად აწყობენ დმენისელი კოლმეურნეები თავიანთ ცხოვრებას. მარტო 1950 წელს 30-ზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მიმდინარე წელსაც ბევრი დმენისელი კოლმეურნე შევა ახალ კეთილმოწყობილ ბინებში.

**ზნაურის რაიონის** სოფელ დიდი ციხიათის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთი სოფლის დაწყებითი სკოლისათვის ააგეს ახალი შენობა. სკოლა უახლოეს მომავალში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**გ. ნანიტაშვილი**

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**10 თებერვალს**

6.45 — კაცის და მილიუტინის სიმღერები. 8.30 — ვალსები. 10.30 — ლიტერატურული გადაცემა: პუშკინის ლექსები. 17.15 — პუშკინის სიტყვებზე დაწერილი რომანსები. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. 18.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 20.45 — ქართული მუსიკის კონცერტი. 21.10 — საუბარი: ვირუსებისა და მიკრობების ბუნების შესახებ. 21.40 — ლიტერატურული გადაცემა. 23.00 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მეთორმეტე ღამე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „უკანასკნელნი" (21-ე აბ. პრემიერა); **სომხური დრამის** — „ეს ვარსკვლავები ჩვენია"; **მუსიკალური კომედიის** — „მზის დაბნელება"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გამოქცევა" (მე-7 აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ესპანელები" (29-ე აბ. 4 საათზე); **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 1 მარტს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ჯავახიშვილის ქ. № 1) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **შალვა თეიმურაზის-ძე ჩუბინიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სახკოლო მიწის ნაკვეთი და მისი გამოყენება მიჩურინული მოძღვრების საფუძველზე V-VI კლასებში ბოტანიკის სწავლებისათვის".**

ოფიციალური ოპონენტები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლ. ა. ყანჩაველი** და პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ე. ე. გოგინავა.**

შრომის გაცნობა შეიძლება ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

**სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს** თბილისში სამუშაოდ ესაჭიროება **რუსული ენის კარგი მცოდნენი: გამოცდილი უფროსი მეგეგმავი-ეკონომისტი — 1, მეგეგმავე — 1, ინჟინერ-მშენებელი — 1, ბუხჰალტერი — 1, საქმეთა მმართველი — 1, მემანქანე—1, მეურნეობის უფროსი — 1.**

პირობების გაგება შეიძლება ტელეფონით № 3-07-34.

**სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელნო!**

**თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მოგება,** რომელიც თქვენს ობლიგაციას ხვდა, ისე, რომ არ დახარჯოთ შრომა და დრო ობლიგაციების შესამოწმებლად მოგების ტირაჟთა ცხრილების მიხედვით.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ შეიძინოთ ერთ-ერთ შემნახველ სალაროში მოგებათა შემოწმების ბიუროს ბარათები, შეავსოთ ეს ბარათები, უჩვენოთ მათში სესხის სახელწოდება, ობლიგაციის სერია და თქვენი მისამართი და გაუგზავნოთ ან ჩააბაროთ საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველოსთან არსებულ მოგებათა შემოწმების ბიუროს (ქ. თბილისი, კეცხოველის ქ. № 7).

**საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო**

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ამირანი", 26 კომისრის სახელობის, „ისანი"** — „კაშხალი"; **„ოქტომბერი", „სპარტაკი"** — „მალაპაგის კედლებთან"; **„კოლხიდა"** — „დუბროვსკი"; **„თბილისი"** — „ცამეტნი"; **„კომკავშირელი"** — „უმზითვო"; **„კოლმეურნე"** — „ნასრედინის თავგადასავალი"; **„დიდუბე"** — „მახე".

მოქალაქე **ლეონიდე იაკობის-ძე დუდამ,** მცხოვრებმა ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. № 29, აღძრა საქმე ქ. ვორონეჟში მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ხირგოს ასულ უდამაროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

სამთელაძე, ჯავახია, ლავრინსკი, კიწმარიშვილი, ხითარიშვილი, გარგალოიანი, ოსიპოვა, ჯაკობია, გლუსკერი, პოლიაკოვა, ანანოვი, მინაზარიანი, გრიგორიანი, მეეროვიჩი თანაგრძნობას უცხადებენ ა. შეროზიას მისი მამის **ნესტორის** გარდაცვალების გამო.

ა. ნანეიშვილი, დ. კაპკაპოვი, კ. ძორძოლაძე, ე. წიქარიძე, ა. მდინარაძე, ს. გოქაძე, პ. კასრაძე, გ. მიქაბაძე, ი. ვარძიელი, ი. ორჯონიკიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. ნიჟარაძეს მისი მამის **ნიკიფორეს** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნასტია, ძმა ვალოდია, რძლები თამარ, თამარ, ძმისწულები არჩილ, კუკური, ლილი და ნინო ლოსაბერიძეები იუწყებიან **გენადი ილარიონის-ძე ლოსაბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-II, 5 ს. ქ. ქუთაისში, მიასნიკოვის I შესახ., 4.

ვლადიმერ და ქეთო ანთაძეები შვილებით, ანიკო ბოჭორიშვილი შვილებით და მაკარ ანთაძე იუწყებიან ბიძის **გიორგი დომენტის-ძე ტუხკიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-II, 7 ს. გამოსვენება 11-II, 2 ს. ახოსპირელის, 3.

მშობლები მარიამ, ოვაკიმე მელქუმოვები, მეუღლე სიმონ, შვილი სპირიდონ, დედამთილი ელისაბედ, მამამთილი სპირიდონ, მაზლები ნიკოლოზ, შალვა მანჯგალაძეები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 11-II, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ფლორა მელქუმოვა-მანჯგალაძის** პანაშვიდი.

მეუღლე ლევან, შვილები ვენერა, მედეა, ემა, როლანდ, მშობლები გრიგოლ, ოლღა, ძმები არჩილ, მიშა, თენგიზ, ამირან, ავთანდილ ოჯახებით იუწყებიან **თამარ ყორანაშვილი-დავითაძის** გარდაცვალებას დაკრძალვა 11-II, ქ. ბორჯომში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო სამმართველოს საავადმყოფოს და პოლიკლინიკის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. შეროზიას **ნესტორ იორდანეს-ძე შეროზიას** გარდაცვალების გამო.

სამა და კოტე ჰიჰინაძეები შვილებით იუწყებიან ბიძის **იოსებ ბეჟანის-ძე გუგუშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-II სოფ. ეწერში (აბაშის რაიონი).

დედა ეკატერინე, მეუღლე რუსუდან, შვილები თენგიზ, თინა, ძმა გიორგი, ბიძაშვილები მ. მანველიძე, ე. ხვედაგურიძე, სიძეები დ. ხვედაგურიძე, შალვა და ცირა ხუნდაძეები იუწყებიან **ავთანდილ ვასილის-ძე მანველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. გუდაურის ჩიხი, 5.

მეუღლე ფეო, შვილები ლენა, დუსია, იროდი, პალადი, ნორა, ვენერა, სიძეები გ. ბერულავა, ი. სოსელია, პ. ხასია, ს. ალშიბაია იუწყებიან, რომ 14-II, 3 ს. ჰკადუაში (ზუგდიდის რ.) დანიშნულია **დავით ქუთარის-ძე ჰითანავას** პანაშვიდი.

ი. მგელაძე, დ. კოკოშვილი, შ. ჩოჩია, ი. დეკანოზიშვილი, ა. გობიანიძე, შ. კარტოზია, ქ. ბურკაძე, ა. კუნჭულია, გ. გუძუაძე, ბ. კაკულია, გ. გოროზია, ა. გოგიშვილი, ლ. ხოშტარია, შ. თაქთაქიშვილი, კ. სალაყაია თანაგრძნობას უცხადებენ გ. შეროზიას მისი მამის **ნესტორის** გარდაცვალების გამო.

მშობლები სოფიო, ვასილ, და ნინო, სიძე ლ. ლაზრიევი შვილებით, მამიდა სათო, ბიცოლა ანიკო, ბიძა არსენ იუწყებიან **მიხეილ ვასილის-ძე ქობულაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-II, 8 ს. გამოსვენება 11-II, 3 ს. ველევის, 21.

ქორქი ესართია ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გრიშა, ავქსენტი, დომნიკა, ფაცია და ფეცული შეროზიებს მათი მამის **ნესტორ იორდანეს-ძე შეროზიას** გარდაცვალების გამო.

მამიდა ოლღა, მამიდაშვილები პელო, კატო, ნიკო, მარიამ, ვანო, ანა, სოსო და თამარ იორამაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ილიკო სარდიონის-ძე გამგებელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-II სოფ. ყელქცეულში (გორის რაიონი).

მშობლები ნატალია, კოტე, და ნუნუ, ძმები ნოდარ, ოთარ, რძალი ნანული ბრეგვაძეები იუწყებიან **ზეინაბის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-II, 7 ს. გამოსვენება 11-II, 2 ს. ჩელუსკინელების, 17.

დები პელაგია და ტასო ტუსკიები, დისწულები თამარ ჭყონია და კოლია ხუხუნაიშვილი, ნორა, კოტე და ირმა მურმანიშვილები იუწყებიან **გიორგი დომენტის-ძე ტუსკიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-II, 7 ს. გამოსვენება 11-II, 2 ს. ახოსპირელის, 3.

საქართველოს სსრ ტყის მოწყობის კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შ. ლანდიას მისი დედის **დაფია სიმონის ასულ ლანდიას** გარდაცვალების გამო.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მე-8 და მე-9 სამუსიკო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ლ. მამრაძეს მისი დედის **ნინო დავითის ასულ მამრაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე დიმიტრი, შვილები გივი, ნოდარ და ინგა იუწყებიან **ნინო დიმიტრის ასულ ეპელიანოვა-უუჯიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-II, 7½ ს. გამოსვენება 11-II, 3 ს. მარჯანიშვილის, 24.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-37-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგესა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01226